

ინვესტიციის მოზიდვის პრობლემატიკა პირობადადგენილი მშენებლობაში საქართველოს სახელმწიფოს გათვალისწინებით

ნოდარ კოდუა, სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

ნაჩვენებია, რომ ელექტროსადგურების მშენებლობისათვის ინვესტიციების მოზიდვა უნდა მოხდეს მხოლოდ საქართველოს მოსახლეობის ინტერესების დაცვით. ამას კი ამჟამად მოქმედი კანონი „ენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ ხელს არ უწყობს. ამიტომ ამ კანონში სათანადო ცვლილებების შეტანა აუცილებელია.

ნაშრომში მოცემულია ელექტროენერგიაზე სამართლიანი ტარიფის დასადგენი ფორმულა.

საკვანძო სიტყვები: სამართლიანი ტარიფი, ელექტროენერგია, ელექტროენერგეტიკული სისტემა, კანონი „ენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“.

* * * * *

ცნობილია, რომ საქართველოს მდინარეების ტენიკურად მისაღები ენერგეტიკული პოტენციალი აღემატება 80 მლრდ. კვტ.სთ-ს. ამჟამად ათვისებულია მხოლოდ 12%. ეს მაშინ, როცა საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემას შემოდგომაზამთრის სეზონში 1 მლრდ. კვტ.სთ-მდე დეფიციტი გააჩნია. გეგმიანი ეკონომიკის პირობებში გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს მოსალოდნელი დეფიციტის დაფარვის მიზნით დაიგეგმა და დაიწყო ორი მძლავრი ელექტროსადგურის მშენებლობა. ესენი იყო 702 მგვტ სიმძლავრის ხუდონჰესის და 450 მგვტ სიმძლავრის ნამახვანჰესის კასკადის მშენებლობა, მაგრამ მალე საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით ამ ჰესების მშენებლობა შეჩერდა. შემდგომი 30 წლის განმავლობაში საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა გათვალისწინებით დაპროექტდა და აშენდა მხოლოდ ერთი საშუალო სიმძლავრის 25 მგვტ-იანი ხადორი ჰესი. ცხადია, ამ ჰესის გამოშვება ვერ ფარავს 20 წლის განმავლობაში ქვეყნის ელექტროენერგიაზე მოთხოვნილების ზრდით გამოწვეულ დეფიციტს.

ამჟამად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით ჰესების მშენებლობა მიზანშეწონილია განხორციელდეს არა სახელმწიფოს ბიუჯეტის თანხებით, არამედ ინვესტიციების მიერ გაღებული კერძო კაპიტალით. ელექტროსადგურების მშენებლობის დაფინანსების რამდენიმე სქემა არსებობს, მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ნილობრივი სქემა, როცა ინვესტორი თანხის არანაკლებ 20%-ს იხდის, დანარჩენს იგი მოიზიდავს ბანკებიდან სესხის სახით. ამასთანავე ჯამური დაფინანსების, რაც უფრო მეტ

ნაწილს გაიღებს კერძო ინვესტორი სესხის სახით მოზიდული კაპიტალის საპროცენტო განაკვეთი, მით უფრო მცირე იქნება. ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს ნაწარმოები ელექტროენერგიის ტარიფის მნიშვნელობას. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე საბაზრო ეკონომიკის პირობებში ისმის ინვესტირების მოზიდვის პრობლემა. საქართველოში არსებული ჭარბი ჰიდროენერგეტიკული რესურსების ასათვისებლად.

ტრადიციული მიდგომის მიხედვით, რომელიც თავის დროზე ამერიკელი სპეციალისტების მიერ იქნა შემოთავაზებული, ნაწარმოები ელექტროენერგიაზე ტარიფი დადგენილ უნდა იქნას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ორგანოს მიერ. ასეთ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია. სამწუხაროდ, გამოდის, რომ ასეთი მიდგომა უარყოფილია, რადგან საქართველოს კანონში „ენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, ამჟამად დამატებულია მუხლი 493, სადაც წერია „2008 წლის 1 აგვისტოს შემდეგ აშენებული ყველა ელექტროსადგური დერეგულირებული იქნება“.


ამავე კანონის მუხლი 2-ის ჯ) ქვეპუნქტის მიხედვით „დერეგულირება“ ნიშნავს „წარმოების ლიცენზიანტისათვის ტარიფის დადგენის გარეშე საქმიანობის ან მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურისათვის ლიცენზიისა და ტარიფის დადგენის გარეშე საქმიანობის უფლების მინიჭებას“. აქედან გამომდის, რომ ინვესტორმა, რომელმაც ელექტროსადგურის მშენებლობის უფლება მოიპოვა და მემორანდუმს ხელი მოაწერა, შეიძლება არ იცოდეს ნაწარმოები ელექტროენერგიის ტარიფი. ეს იმას ნიშნავს, რომ მან არ იცის მშენებლობაში ინვესტირებულ კაპიტალს სასურველი დივიდენდით ამოიღებს თუ არა, იმ ქვეყნის ინტერესების დაცვით, სადაც იგი აკეთებს ინვესტირებას. საქმე იმაშია, რომ ენერგეტიკის კანონში ზემოთ აღნიშნული 493 მუხლის შეტანის შედეგად მას ეძლევა უფლება ტარიფის დადგენის გარეშე სამშენებლო საქმიანობის დაწყებისა და ცხადია იმის უფლებაც, რომ ინვესტირებული თანხის ამოღებაც მოითხოვოს მისთვის მისაღები გაუმართლებლად მაღალი ტარიფის პირობებშიც.

ასეთი უფლების მინიჭება ინვესტორებისათვის ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესებს, რადგანაც ცნობილია, რომ ელექტროენერგია წარმოადგენს აუცილებელი მოხმარების საქონელს და მისი ტარიფი უნდა პასუხობდეს მომხმარებელთა მსყიდველობითუნარიანობას. რადგანაც საქართველო მდიდარია ჰიდროენერგეტიკული რესურსებით, ისეთი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის შემუშავება ყოველთვის შეიძლება, რომელზეც ტარ-

იფის მნიშვნელობა

შესაბამისობაში იქნება მომხმარებელთა მსყიდველობით უნარიანობასთან.

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა აიგოს მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის გრაფიკი. მასზე დატანილი უნდა იქნას ახალ ელექტროსადგურებზე გენერირებული ელექტროენერგიის ტარიფების ცვალებადობის მრუდი (ნახ.1). ამ მრუდების კვეთა უჩვენებს იმ ელექტროსადგურის ეკონომიკურ ეფექტიანობას, რომლის ტარიფიც პასუხობს მოსახლეობის გარკვეული რაოდენობის მსყიდველობითუნარიანობას. ეს რაოდენობა უნდა შეადგენდეს საერთო რაოდენობის არანაკლებ 90%-ს. კვეთის წერტილის მარცხნივ და ქვევით არსებული ყველა ელექტროსადგურიც ასევე ეკონომიკურად ეფექტიანი იქნება და მათი მშენებლობა მიზანშეწონილია.



ნახ.1.

მიწოდების გრაფიკის აგება ხორციელდება პერსპექტივაში ასაშენებელ ელექტროენერგიაზე გასანევი სამშენებლო ხარჯების გამოთვლით და მიმდინარე ღირებულებების დადგენის გზით, შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$\sum_{t=1}^T \frac{C_t + I_t}{(1 + K_0)^t} - \sum_{t=0}^{T-1} K_t (1 + K_0)^t = 0$$

(1)

სადაც: NPV – განეული დანახარჯებისა და შემოსავლების სხვაობის მიმდინარე ღირებულება;

A – აქტივების ამორტიზაციის მნიშვნელობა საგადასახადო კოდექსის მიხედვით;

II – წლიური სუფთა მოგება;

K_0 – ინვესტირებული თანხების დისკონტირების კოეფიციენტის საშუალო წლიური შეწონილი მნიშვნელობა, როცა რამდენიმე ინვესტორია დამფინანსებელი;

K_t – კაპიტალდაბანდება წლების მიხედვით;

T – ფინანსური ამორტიზაციის პერიოდი;

$t_{\text{შპ}}$ – მშენებლობის ხანგრძლივობა წლების მიხედვით;

II – წლიური მოგების ანგარიშის დროს აუცილებელია ტარიფით ნაანგარიშები შემოსავლებიდან გამოქვითულ იქნას საექსპლუატაციო დანახარჯები. სესხის სახით მოზიდული კაპიტალის საპროცენტო განაკვეთის შესაბამისი წლიური თანხა და ქონების გადასახადი საგადასახადო კოდექსის მიხედვით;

რადგანაც ზოგიერთი ჰიდროტექნიკური ნაგებობის ამორტიზაციის, ე.ი. ფიზიკური ცვეთის პერიოდი ბევრად აღემატება საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ნაგებობებისთვის გათვალისწინებული ამორტიზაციის პერიოდს, რომელიც 5%-ით განისაზღვრება (1) ფორმულაში დადებითი ნიშნით უნდა შევიდეს ნარჩენი ღირებულება გამოთვლილი

$$\frac{Z_T}{(1 - K_0)^T}$$

შემდეგი გამოსახულებით

სადაც Z_T – ნაგებობების ნარჩენი ღირებულებაა T ფინანსური ამორტიზაციის პერიოდის გასვლის შემდეგ.

თუ ინვესტორი ენერგეტიკის კანონში გაკეთებული ცვლილებით ისარგებლებს, რომელიც ტარიფის დერეგულირების პირობებში მას საქმიანობის უფლებას ანიჭებს, მას ექნება შესაძლებლობა, ჰესის მშენებლობა განახორციელოს და მოიღოს ინვესტირებული თანხა არა (1) ფორმულის მიხედვით გამოთვლილი ტარიფით, არამედ ნებისმიერი მისთვის მისაღები უფრო დიდი ეკონომიკურად გაუმართლებელი ტარიფით მოითხოვოს მომხმარებლისგან, ჩადებული ინვესტიციის დაფარვა. ეს კი ცხადია, სახელმწიფოს ინტერესებში არ უნდა შედიოდეს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ამჟამად მოქმედ კანონში „ენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ და მთავრობის გამოქვეყნებულ დადგენილებაში, რომელიც ინვესტორს საშუალებას აძლევს მხოლოდ 3 თვის განმავლობაში გენერირებული ელექტროენერგია დატოვოს საქართველოში, უნდა შევიდეს სათანადო ცვლილებები.

ელექტროენერგია არის აუცილებელი მოხმარების საქონელი და მისი მიწოდება მოსახლეობისთვის გაზრდილი ტარიფით, გაუმართლებელია.

მხოლოდ ელექტროენერგიაზე სამართლიანი ტარიფების დადგენის პირობებშია ინვესტორების მოზიდვა მიზანშეწონილი. ამისთვის კი საჭიროა კანონში „ენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ და მთავრობის დადგენილებაში სათანადო ცვლილებების შეტანა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ.კოდუა. ახალი ან სარეაბილიტაციო ელექტროენერგეტიკული ობიექტის ეკონომიკური ეფექტიანობის დასაბუთება საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ჟურნალი „ენერგია 3(35)“. 2005.